ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 114
30/06/2017

114-08-4-201706301421

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,ედიშერ ჯიბუტის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 15 ივნისის N88 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 13/06/2017 წლის N87 ბრძანებისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის N14 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1.,,ედიშერ ჯიბუტის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 15 ივნისის N88 ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

1^1. 2017 წლის 01 ივლისიდან ედიშერ ჯიბუტი ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის,

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშნულ პროფესიულ საჯარო მოხელედ.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა